ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბო მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ10.48221012**

თარიღი:**11/04/2022**

მეოთხე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზიციის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლისა და ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.მეოთხე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზიციის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

გიორგი ჩაკვეტაძე - პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ჩიხლაძე - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

მირანდა მამისეიშვილი - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსის ფუნქციათა დროებით შემსრულებელი, იურისტი;

ნიკა კვერნაძე - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი, მოწვეული სპეციალისტი;

ნინო ცხოვრებაძე - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი სპეციალისტი, მოწვეული სპეციალისტი;

2.კონტროლს ბრძანების შესრულებაზე ვივალებ პირადად.

3.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი; ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვახტანგ ნადარეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი